საქ. კომუნისტურ ხოც.-შედ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 50,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან.
4 „ 200,000 „
საგვლოვიანო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 516 კვირა, ივლისის 8 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000

გზა კოოპერაციას.

დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა ქვეყნებში განსაკუთრებულ პირობებს ქმნის კოოპერაციის განვითარებისათვის. სოფლისა და ქალაქის დაკავშირება, მუშის ნაწარმოების მოწოდება გლეხისათვის უშუალოდ, ჩარჩს გარეშე, სოფლის პროდუქტების მოწოდება ქალაქის მუშისათვის, შექმნა და დარაზმვა გლეხების ორგანიზაციულად, განვითარება მათში კოლექტიური მეურნეობის გაძღოლისა და საკუთარი ინიციატივისა, შეუძლებელია კოოპერაციის გარეშე.

კერძო კაპიტალსა და სახელმწიფოებრივ კაპიტალს შორის ბრძოლა, გაფართოება მუშათა ეკონომიური ორგანიზაციების და საკუთარი წარმოებამოხმარების დაწყება-აღორძინება, იმავე კოოპერაციის გზით შეიძლება.

კოოპერაცია არა მარტო ქონებრივად გააჯანსაღებს სოფლისა და ქალაქის მუშის მდგომარეობას, არა მარტო მოხსნის მას ვაჭრის უღელს ყიდვისა და გაყიდვის პროცესში, არამედ მის პოლიტიკურ-კულტურულ შემეცნებას გააღრმავებს, თვითმოქმედების გზაზედ დააყენებს და მეურნეობის ხელმძღვანელობას შეაჩვევს.

დღემდე, საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, კოოპერაციის საქმე პიროვნულ ინიციატივის ანაბარა იყო მიტოვებული. რევოლიუციამდე რუსეთის მთავრობა ხელს არა თუ არ უწყობდა კოოპერატივების გამრავლებას, არამედ ხელს უშლიდა მას, რადგან მასის ორგანიზაციული ჩამოყალიბება და გათვითცნობიერება დაამსხვრევდა ბარბაროსულ რეჟიმს.

მენშევიკების დროსაც კოოპერატივები უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ფორმულა „დემოკრატიზმით—სოციალიზმისკენ“ არ იყო კოოპერატივებისათვის ნიადაგის განმაპირობებელი. კერძო კაპიტალის თავაშვებული ფარფაში, სახელმწიფოს ინდიფერენტიზმი კოოპერაციის მიმართ და ამ უკანასკნელის მნიშვნელობის დამცირება, ხელს უშლიდა კოოპერატივების გამრავლებას.

ომის მიწურულში და რევოლიუციის პირველ ხანებში კოოპერატივების ზრდა არ ემორჩილებოდა ნორმალურ განვითარებას. კოოპერატივის მნიშვნელობის შეგნება არ იყო მასაში. ამ მხრივ არც იყო ცდა მასის ყურადღების მიპყრობისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი მუშაკის მოღვაწეობას. ხალხი კოოპერატივებს აარსებდა იმ მიზნით, რომ ბაზრის დიდი ფასებისაგან უნდოდა თავის დახწევა. თუ ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა კოოპერატივი, მასა გაურბოდა და ისევ მოვაჭრეებს მიაშურებდა.

ცხადია, ასეთ პირობებში კოოპერაციის გასაქანი მეტად ვიწრო უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. კოოპერაცია ვერც დაისახავდა ერთად ერთ მიზნად საქონლის მიწოდებას საბაზრო ფასებზედ ნაკლებ ფასებში და ვერც შეძლებდა ამ მიზნის განხორციელებას.

დღეს ამ მდგომარეობას ბოლო მოეღო. სახელმწიფო უკვე ენერგიულად შეუდგა კოოპერატიული მოძრაობის განვითარებისთვის ხელის შეწყობას. როგორც უფლებრივ—მატერიალური დახმარება, ისე სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა, არსებულ პირობებში სათანადოთ არის დაყენებული. კოოპერაციამ უნდა დაიპყროს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უმრავლესობა. კოოპერაცია უნდა გახდეს ერთ ერთი ძლიერი ორგანიზაცია მომავალ სოციალისტურ წყობილების განხორციელებისა. ამავე დროს კოოპერაციამ უნდა შესძლოს ჩვენი მეურნეობის განვითარება, რადგან კაპიტალიზმის გზით შეუძლებელია მის აღორძინება და დაუშვებელიც, ხოლო წმინდა სახელმწიფოებრივი ხასიათის სამეურნეო ორგანიზაციები განსაკუთრებით სასოფლო-მეურნეობაში ვერ იჩენს ელასტიურობას და მაქსიმალური შედეგების მიღწევის შეუძლებლობას. საჭიროა კიდევ მეტი შრომისა და ენერგიის გაღება კოოპერატიული მოძრაობისათვის, მეტი აღმშენებლობითი და საქმიანი მუშაობა.

ჟურნალ-დავაგები

რურის საკითხი
თემთა პალატაში.

ლონდონი. 4 ივლისი. თემთა პალატის სხდომაზე ზოგიერთმა დეპუტატებმა წინადადება მისცეს ბალდვინს, მიეწოდებია ცნობა გერმანიის ნოტაზე, დაჩქარებითი პასუხის შესაძლებლობის შესახებ. ბალდვინმა განაცხადა, რომ ამ ჟამად მას არ შეუძლია არავითარი ცნობის მიცემა და დასძინა, რომ მთავრობა სავსებით ითვალისწინებს მდგომარეობის სირთულეს და ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობს საქმის დასაჩქარებლად.

პარიზი. 4 ივლისი. „ტან„-ი სწერს: „ინგლისის პოლიტიკა მუდამ იქითკენ არის მიმართული, რომ დარჩეს მტრული განწყობილება გერმანიას და საფრანგეთს შორის, რათა განხორციელებულ იქნეს ინგლისის დიადი ოცნება გეგემონიაზე, რომელსაც უსათუოდ უნდა დაემორჩილოს საფრანგეთი, იტალია და რუსეთი, რაზედაც არ ოცნებობდენ თვით ნაპოლეონი და ბისმარკი, ან რუსეთის არც ერთი მეფეთაგანი. „ტანი“ ამტკიცებს, რომ ასეთი გეგემონია ზიანს მოუტანდა თვით ინგლისა.

ლონდონი. 4 ივლისი: ლონდონში განახლებული მოლაპარაკება საფრანგეთ-ინგლის შორის ატარებს მეგობრულ ხასიათს. საფრანგეთი თითქოს თანახმაა დააკმაყოფილოს ინგლისის მოთხოვნილებანი და უპასუხოს ბალდვინს შეკითხვაზე წერილობით. მაგრამ პარიზის კაბინეტმა გადასწყვიტა, რომ შეურიგებელი პოზიციის გამო, რომელიც დაიკავა სამთო-მადნო მრეწველობის კომიტეტმა, არ დასთმო არაფერი რურის საკითხში. სამთო-მადნო მრეწველობის მეპატრონეების ორგანო აცხადებს, რომ პუანკარეს სამინისტრო დაეცემა და პუანკარე ვერ დაბრუნდება მთავრობაში, თუ ის წავა დათმობაზე რურის საკითხში.

ბერლინი. 4 ივლისი. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დიუსელდორფში განუცხადა გერმანიის ხელისუფლებას. რომ სურსათის შემოტანა დაკავებულ ოლქებიდან მოხდება მხოლოდ საფრანგეთის რკინის გზის ადმინისტრაციის საშუალებით.

ფრანგების წინადადება ნახშირზე გადასახადის გადახდის შემდეგ კრუპის ქარხნების განთავისუფლების შესახებ, ქარხნების ადმინისტრაციამ უარჰყო.

ლონდონი. 4 ივლისი. 1 ივლისს ჯერ კერზონს ჰქონდა თათბირი ბელგიის ელჩთან სენტ-ოლერთან. ამ მოლაპარაკებამ, როგორც სჩანს, ძალიან მცირედ წასწია წინ სარეპარაციო კრიზისის გადაწყვეტა. სენტ-ოლერმა კერზონთან საუბრის დროს, ძალიან უმნიშვნელოთ დაიხია უკან იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც ადგია საფრანგეთი ამ უკანასკნელ წლებში და არ გადასცა კერზონს წერილობითი პასუხი, რომელსაც ესოდენ გაფაციცებით მოელიან ინგლისელები.

ბელგიის ელჩმაც აგრეთვე განაცხადა, რომ მას იმედი აქვს განაგრძოს მოლაპარაკებაო. როგორც სჩანს, მოლაპარაკება გაგრძელებული იქნება, მაგრამ უთანხმოებას ისევე აქვს ადგილი, როგორც წინად.

პოლონეთის ამბები

ვარშავა. 4 ივლისი. ვარშავაში შესდგა სამხედრო საბჭოს რამოდენიმე სხდომა, რომელზედაც აირჩეოდა უმაღლეს სამხედრო ორგანოების რეორგანიზაციის პროექტი. პროექტი საგრძნობლად აფართოებს სამხედრო სამინისტროს კომპეტენციას. რათა სამხედრო უწყება დაემორჩილოს მინისტრთა საბჭოს და სეიმს.

ვარშავა. 4 ივლისი. პილსუდსკიმ განაცხადა, რომ ის სტოვებს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

გაზ. „ვარშავსკა“ დაცინვით აღნიშნავს, რომ პილსუდსკის წასვლა პოლიტიკურ ასპარეზიდან თვეზე მეტია, რაც გრძელდება.

ფინანსთა მინისტრად დაინიშნა გუბერტ ლინდე, პოლონეთის დირექტორი, ფ.-ტელ. ყოფ. მინისტრი პადერევსკის კაბინეთში

გრაბსკის გადადგომას ხსნიან უთანხმოებით სეიმის უმრავლესობაში. ფინანსიური და სავაჭრო სამრეწველო წრეები სასტიკად ილაშქრებენ ვალიუტის შეზღუდვის წინააღმდეგ, რომელიც გაატარა გრამსკიმ.

ლოზანას კონფერენცია

ანგორა. 5 ივლ „ენი გიუნი“ სწერს: „თუ მოკავშირეებს არ სურთ მშვიდობიანობა, უნდა დაიშალონ. ლოზანა გადაიქცა ჭაობად, რომელშიაც ჩვენ არ გვსურს ჩახრჩობა. „ხაკიბილიეტ პილიე“ ადარებს საფრანგეთის დელეგატს პელლეს სირაქლემას, რომელიც საფრთხის მოახლოვების დროს, თავს ფრთის ქვეშ იმალავს.

რომი. 5 ივლ. ოსმალეთის გაზეთები პროტესტს აცხადებენ მოკავშირეების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, არ დასცალონ სტამბოლი, სანამ არ შეიმუშავებენ კუპონებით ანგარიშის გასწორების საშუალებას.

ახლო აღმოსავლეთში

ლონდონი. 4 ივლ. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, მოკავშირეების მუქარა სტამბოლის და გალლიპოლის ოკუპაციის გაგრძელების შესახებ, სადავო საკითხების მოწესრიგებამდე, დიდ აღშფოთებას იწვევს ოსმალეთის წრეებში და ქმნის სამხედრო მოქმედების განახლების შესაძლებლობას. გადმოგვცემენ, რომ ანგორის მთავრობამ წინადადება მისცა ისმეტ ფაშას უარჰყოფს მოკავშირეების ყოველგვარი წინადადება ევაკუაციის გადადების შესახებ. ამავე დროს ანგორის კაბინეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ სამხედრო მოქმედების განახლების შემთხვევაში, იქნება მიღებული ყოველივე ზომები ოსმალეთის ნაციონ. ინტერესების დასაცავად.

ანგორა. 5 ივნისი. ოსმალეთის პრესა იუწყება ანტიფრანგულ მოძრაობის შესახებ მთელ სირიაში, რომელიც გამოწვეულია ფ ანგების განზრახვის გამო, აეკრიფათ გადასახადები 4 წლით წინ.

რუსეთი და სპარსეთი

თეირანი. 4 ივლ. თეირანის სავაჭრო პალატის გამოსათხოვარ კრებაზე, რომელიც გაიმართა მალიშევის გამგზავრების წინ, სპარსეთის ვაჭრებმა მიმართეს შუმიაცკის თხოვნით მიიღოს ზომები რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დასაჩქარებლად.

თეირანის ვაჭრების დელეგაციამ დიდი მადლობა გამოუცხადა მალიშევს წვევისათვის და სთხოვა მას გადაეცა საბჭოთა წრეებისათვის, რომ სპარსეთის ვაჭრები უკმაყოფილოდ შეხვდენ მოთხოვნილებას შუმიაცკის გაწვევის შესახებ და ამას სთვლიან რუსეთ სპარსეთის ინტერესების დარღვევად.

უცხოეთი.

დანია.

კოპენჰაგენი. 5 ივლისი. „სოციალ-დემოკრატენი“ ბეჭდავს, საუბარს ცენტროსოიუზის წარმომადგენელთან ექიმ ბარრუსთან, რომელიც ჩავიდა კოპენჰაგენში დახიის ვაჭრობის პირობების გასაცნობად და აღნიშნავს, რომ დანიისათვის უმჯობესი იქნებოდა დაედო ხელშეკრულება რუსეთთან 3 წლით ადრე და იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთთან ვაჭრობის განახლების შემდეგ, ბევრი შეიცვლის თავის შეხედულებას რუსეთ-დანიის ხელშეკრულებაზე.

ინგლისი.

ლონდონი. 4 ივლისი. სამუშაო ხელფასის შემცირების გამო გაფიცული არიან გემების შესაკეთებელი სახელოსნოების მუშები: კარდიუში—1.500 კაცი, ბრისტოლში—1000 და რულში—7000. გაფიცვა გაგრძელდა სხვა ადგილებზედაც, თვით ლონდონზედაც, სადაც გაფიცულია 6,000 კაცი. გაფიცვის გამო შეჩერებულია მრავალი გემები სურსათიდ. გაფიცულებმა მოაწყვეს მიტინგები, რომელზედაც ორატორები აღნიშნავენ, რო სამუშაო ხელფასის შემცირებით, რომელიც სურთ გაატარონ, შემცირდება მუშების ჯილდო 55 შილლინგიდან 9 ნახ. შილინგამდე.

ნორვეგია.

ქრისტიანია. 4 ივლისი. მოსკოვიდან დაბრუნდა ნორვეგიის სახელმწიფო სურსათის დირექტორი პეტერსონი, რომელმაც შეისყიდა მოსკოვში ჭვავი. პეტერსონმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსული ჭვავი ძლიერ კარგი ღირსებისაა. გელსინგფორსში ძლიერ კმაყოფილი დარჩენ ჭვავით, რომელიც იგზავნება წესიერად, ხელშეკრულების თანახმად.

იაპონია.

ტოკიო. 4 ივლისი. გერმანიის ელჩის ზოლფის მიერ ამხ. იოფეს ნახვა და შემდეგ გოტოს შეხვედრა ზოლფთან საბაბს აძლევს იაპონიის პრესას, იმედი იქონიოს იაპონიის შეთანხმების შესახებ.

ტოკიო. 4 ივლისი. რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების დაწყების გამო, იაპონიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ დადებითი შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ დათმობის გზით რუსეთის მხრივ, რადგანაც იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრი არ მიდის დათმობაზე ნიკოლაევსკის ამბების და ძველი ხელშეკრულების საკითხებში.

საბერძნეთი.

ვენა. 4 ივლისი. საბერძნეთის კომპარტიის ცეკა იწვევს მესამე მორიგ ყრილობას. დღის წესრიგშია: პროგრამის შემუშავება პოლიტიკურ საკითხებში, კომინტერნის კონგრესის გადაწყვეტილებების მიღება, მოხსენება პროფკავშირების მუშაობის შესახებ.

საბერძნეთის კომპარტიის ცეკა მიიწვია ბულგარეთის კომპარტიამ ბალკანეთის ფედერაციის კონფერენციაზე.

ახალი ამბები

— **საღამო სეირნობა** ორშაბათს ივლისის 9 დაისის ბაღში „ვეჩერნიე ზორი“ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება მრავალფეროვანი **საღამო სეირნობა.** მონაწილეობენ: ქართველი მწერლები, ოპერის არტისტები, ბალეტის მოცეკვავენი, მომღერალთა გუნდები, საკონცერტო ორკესტრი და სხვანი. ბაღის კინემატოგრაფში ცნობილი კინო-სურათი **სურამის ციხე.**

კაბარე ვახშამი გათენებამდის. ფასები ჩვეულებრივია.

— **ზ. ჭიჭინაძის და სეიფოლა იოსელიანის მოხსენება ჭიათურაში.** ამ დღეებში ჭიათურაში მიემგზავრებიან სპარსეთის ქართველების წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი და ზ. ჭიჭინაძე, რომელნიც გააკეთებენ ჭიათურის თეატრში მოხსენებას ზ. ჭიჭინაძე „ქართველთა გადასახლების მიზეზები სპარსეთში შაჰ აბაზის მიერ“ ს. იოსელიანი „ფერეიდანელ ქართველთა ცხოვრება მდგომარეობა“

— **ელექტრონის სადგური** მიწადმოქმედების კომისარიატთან არსებული ელექტრონის სადგურის შეკეთება დასრულდა. სადგური ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას.

— **ამხ. კამოს ძეგლი.** ქალ. აღმასკომის კომ. განყოფილებამ დაადგინა ამხ. კამოს საფლავზე აგოს ძეგლი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძის გეგმის მიხედვით.

— **ქალაქის საავადმყოფოსათვის.** აღმასკომმა მოსკოვიდან მიიღო ქალაქის საავადმყოფოებისათვის 1000 ცალი თბილი საბანი.

— **ბალახის წამლეულობა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საფრანგეთის ბურგეს ფირმიდან მიიღო შუამდგომლობა ა.-კავკასიაში სამკურნალო ბალახების შეძენისათვის უფლების მიცემის შესახებ.

— **გადასახადი ტელეფონზე.** 1-ლ ივლისიდან სატელეფონო გადასახადი მიღებული იქნება ჩერვონცის კურსით.

— **დიდი გვალვა ქვედა-იმერეთში.** ქვედა-იმერეთიდან მიღებულ ცნობებით იქ ამ ჟამად დიდი გვალვებია, რამაც საგრძნობლად დააზიანა ნათესები და მცენარეულობა.

— **სიმინდის დამზადება.** ცეკავშირი შეუდგა სიმინდის შესყიდვას საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. ჯერ-ჯერობით ქ. ფოთში, სენაკში და სამტრედიაში შესყიდულია 90.000 ფუთი სიმინდი—სულ შესყიდული იქნება 400.000 ფუთი—სიმინდი ცეკავშირი გადასცვლის საზღვარ-გაედთ სხვა და სხვა საქონელზე.

— **შტატების შემცირება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შტატების შემცირება დასრულდა. შტატი შემცირდა 101 კაცით. სახელწიფო მარაგში დირჩა 963 კაცი.

მატყლის დამზადება. ცეკავშირმა მიიღო ხუთი ათასი ფუთი მატყლის შეკვეთა: 3.000 ფ. წარმოკავშირის, სიღნაღის რაიონისათვის ათასი ფ., კახეთისთვის—1.000 ფ.

ეკონომიური სხლეტრება

საქართველოს გასაბჭოვების შემდეგ მმართველმა პარტიამ მთელი თავისი ყურადღება სწავლა-განათლების საქმეს მიაპყრო და ყოველს კუთხეში, სადაც კი შესაძლებელი იყო და არის, ხსნის სკოლებს და სამკითხველოებს, რასაც მოითხოვს დღევანდელ ცხოვრების სინამდვილე. მაგრამ არის ხშირი შემთხვევა, სადაც ასეთ ბრწყინვალე საქმეს ხელს უშლის ზოგიერთი ვაუბატონების ბოროტი განზრახვები. ამასაც ხელს უწყობს ახალი ეკონომიური პოლიტიკა და ზოგიერთი სპეციები დღეს ასე მსჯელობენ: სპეციები ვართ და რაც გვინდა, იმას ვიზამთო. მაგრამ ერთი კი აშკარაა და ჩვენც ამაში დარწმუნებული ვართ: ცოტა არიან ისეთი სპეციები, რომლებიც მშრომელ ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდენ ვერ სცილდებიან ძველ ზნე ჩვეულებას. რასაც მრავალ წლების განმავლობაში შეჩვეულან

მშრომელმა მუშამ და გლეხმა კი იცის, ისეც დღეს უფლებრივ გათანასწორებასთან მას სჭირია ყოველი დარგის ცოდნასთან გათანასწორება, თორემ მათ საქმეს ვერ შეასრულებს დღევანდელი სპეციები, რომლებიც სარგებლობენ მმართველი პარტიის ნდობით. ამისათვის მინდა მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითი.

არარის დიდიხანი მას შემდეგ, რაც ქუთაისის ფოსტის უფროსათ დაინიშნა ვასილ ჭეიშვილი, რომელსაც თავი კომუნისტათ მოქონდა, მაგრამ მას მხოლოთ აინტერესებდა მაღალი თანამდებობა და არა კომუნისტობა. ის მომხრეა არცერთ კრებაზე არ დაესწროს და ამავე დროს „კომუნისტი“ იყოს. ის ამბობს: მე ბევრი საქმეები მაქვს და ვერ ვესწრები კრებებსო: გასაკვირია ვინ არის დღეს უსაქმო? ნათქვამია გული თუ გულობს ქადა ორივე ხელით იჭმებაო, და მოქალაქე ჭეიშვილი, რომ არც თანამგრძნობია და არც კომუნესტი ეს ყველამ იცის ჩვენს უწყებაში. ეხლა ავწეროთ ყველა ის დეფექტები, რაც ირგვლივ ხდება. როგორ არის ის დაინტერესებული საზოგადო საქმის მოწყობაში, როცა კანტორა ჩაიბარა ჭეიშვილმა, მას ბინა არ ქონდა და გამგეობამ ერთი კვირის ვადით მისცა ორი ოთახი. მას უნდა ეშოვა ერთ კვირაში ბინა, მაგრამ გადის აგერ ნახევარი წელი და ის მაინც არ ცილდება კონტორას; ბინა ვერ ვიშოვეო. ჩვენ კი ვიცით ჭეიშვილს გეგუთის ქუჩაზე თავის საკუთარი სახლები აქვს, ალბად გაქირავებული.

ქუთაისის კანტორაში სივიწროვის გამო ზოგიერთ განყოფილებაში სადაც სამი კაცი უნდა მუშაობდეს, მუშაობს რვა და მეტი. შენობას ქონდა 2 ფეხის ადგილი. 1 კუხნათ გადააკეთა ⁄ მე-2 არ ყოფნის ხალხს და ყოველთვის რიგში არიან ჩამდგარი მოსამსახურენი. თან ღამე სინათლე არ არის და შეუძლებელია შესვლა. ფოსტას არ აქვს სამკითხველო. გამგეობას მრავალი წიგნები აქვს შეძენილი, მაგრამ უბინაობის გამო შკაფები არის შენახული. ამის შესახებ მრავალჯერ ქონდა მიცემული ჭეიშვილს წინადადება, რომ ბინა ეშოვა, მაგრამ ის ამბობს; მე უსათუოდ აქ უნდა ვცხოვრობდეო თანახმად ინსტრუქციისა. აგრეთვე ფოსტას აქვს პატარა ეზო, რომელიც თავად-აზნაურობას საუცხოვოთ ქონდა მორთული. ეხლა კი ჭეიშვილმა ეს პატარა სულმოსათქმელი ადგილი ღორების და ცხოველების ბაღათ გადააკეთა. თანაც უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი.

საფულისბარათო განყოფილებაში არავითარი საიდუმლოება არ არის დაცული. იქ მოკალათდა ღვინისტი, რომელმაც განყოფილება შეითან-ბაზრათ გადააქცია. იქ შედის და გამოდის, ვისაც უნდა, გარეშე და შინაური და ყოველივეს ისეთ აკეთებს, როგორც თვითონ მოუხდება. მის შესახებ ქონდა დადგენილება კომუჯრედის ბიუროს საგანგებო სხდომას, სადაც ის ცნობილი იქნა ყოველ მხრით უვარგისად, რაც სამი თვეა ეცნობა ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის შემაერთებელ კავშირის კომფრაქციას, მაგრამ ჯერაც არაფერი ისმის. ასეთ ასრულებს ცენტრი ჩვენს თხოვნას. საჭიროა ყოველივე ჩვენს თხოვნას ანგარიში გაუწიოს უმაღლეს ორგანოს ამხანაგებმა, ნუ დაგვივიწყებენ.

აქაური.

ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. **რედ.**

— **ქიმიკოსთა კავშირმა,** პროფსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა მიმდინარე ზაფხულს დასასვენებელ ხახლებში გაგზავნილ იქნენ უმუშევარი მუშებიც.

— სამდივნომ გადასწვვითა მოიწვიოს ა. წ. 1 ოქტომბრისთვის სრულიად ქიმიკოსთა კავშირის ყრილობა.

— უახლოეს დღეებში მოწვეულ იქნება მელითონეთა განყოფილების, ქარხკომების გამგეობის და მუშათა გაერთიანებული კრება, სადაც განსაკუთრებით მუშებს აეხსნებად და განემარტებათ სრ. საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობის მუშაობის შედეგები და დადგენილებანი.

— **მელითონეთა კავშირს** დაარსებული აქვს საქარხნო სახელოსნო შკოლა. სკოლაში პროფტეხნიკურ მუშაობის გარდა მეცადინეობა სწარმოებს პოლიტიკურ დარგშიაც. სკოლის საქმეებს განაგებს კულტგანყოფილება და სამეურნეო ორგანოები. სკოლის გამგეთ დაინიშნა ამხ. ყამარაული.

— ბათომის სამთო-მადნო კავშირის მუშაკებმა, შუამდგომლობით მიმართეს მელითონეთა კავშირს, რომ ბათომში არსებული მრეწველობა, როგორიც არის ნავთის გადმოსაქაჩი განყოფილება და ნავთის საქარხნო გადაცემულ იქნას მათ განკარგულებაში.

მილიციაში. ტფილისის მილიციის კანცელარიის მოსამსახურეთა ადგილკომს 4 ამა ივნისის თვეს ჰქონდა მორიგი კრება უბნის რწმუნებულთა. კრებაზე იყო მოხსენებული სხვა და სხვა საინტერესო კითხვები. საერთოდ იყო სურვილი, რომ მოწყობილიყო მოსამსახურეთათვის ექსკურსია რომელიმე მახლობელ კურორტზედ. მაგრამ ასეთი არ მოხერხდა, რადგანაც ერთი დღით წასვლა მიზან შეწონილი არ იქნებოდა და მეტი ხნით კი სამსახურს ვერ დასტოვებდნენ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ საჭიროდ დაინახა, რათა ყველა მოსამსახურენი უფრო დაუახლოვდენ ერთმანეთს და გაიზიარონ ერთი მეორეს აზრი, დაადგინეს ერთ შაბათს დღეს სამსახურის შემდეგ შეიკრიბონ ერთათ და გაემგზავრონ ორთაჭალის ბაღების დასათვალიერებლათ. და აღგილობრივ მეურნეობის მხრით ნაკეთაობის გასაცნობათ.

მასთან კრებამ ერთხმათ დაადგინა მიღებული ივნისის თვის ჯამაგირის განსხვავებიდან 1.000.000 მანეთი გადასცენ სადაც ჯერ არს ჰაეროპლანის ასაგებ თანხის გასაძლიერებლათ, აქ აღნიშნული მცირე ექსკურსიის ხელმძღვანელ კომისიაში იქნენ არჩეულნი ამხ. ჩაჩხიანი, სანაია და ორჟონიკიძე.

დამსწრე.

მილიციის საყურადღებოთ.

ყოველ ნაირ უწესოებას აქვს ადგილი ამატუნის ქუჩაზე. ქურდობას ხომ, თქმა არ უნდა; ისეთ ღამე არ გავა, რომ არავის რამე არ მოპარონ. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელის მოწმე თვითონ გახდით. ამატუნის ქუ. მცხოვრებ იოსებ მურმანიშვილს, რომელსაც ეძინა აივანში, ახადეს საბანი. მოხუცებული კაცი წამოდგა და იძახდა,—მიშველეთ საბანი მომპარესო! მაგრამ, ვინ იყო მისი მშველელი? ქურდი ბალკონიდან გადამხტარიყო საბნიანად. ერთი მილიციონერი არა სდგას ამ ქუჩაზე ღამით. 26 ივნისს ღამის სამ საათზე, ჩვენ შევპყარით ორი ქურდი. ერთმა მათგანმა შეაღო კარი და მეორე კი განზედ იდგა. ჩვენ გავიგეთ კარების ხმაურობა და ქურდი დავიჭირეთ. მეზობლებს ცეტრალურ რომ არა გვქონოდა, გაქცევას აპირებდენ. როცა დაინახენ თოფი შეჩერდენ. ჩვენ ყარაულები — მე 3 ვე, ოცეულში ამის გარდა ამოდის საიდგანაც სამი რუსი ღამის 2 საათზე უთვალთვალებენ სახლებს. ამ ქუჩაზე საგუშაგო რომ იყოს, ადვილათ შეიპყრობენ ქურდებს. ზედ ემჩნევათ, რომ დახელოვნებული ქურდები არიან, როცა შევეკითხებით: რას დადიხართ ამ დროსაო, რაიმე მიზეზს მოიგონებენ: ხან იძახიან ათი მილიონი ფული დავკარგეთ და სხვ. იმედია ამ ცნობებს ანგარიშს გაუწევენ და ხსენებულ ქუჩას ყურადღებას მიაქცევენ. ქურდობის მოსპობა სხვა გზით შეუძლებელია.

ქიზიყელი.

რეზოლიუცია

გამოტანილი ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრების კრებაზე 5 ივლისს (ნავთლული)

ჩვენ, ნავთლულის რაიონის რკ. გზ. და ქალ. სასაკლაოს მუშები, რომლებმაც დავგმეთ მენშევიკების პოლიტიკა და გამოვედით მათი პარტიიდან, განვიხილეთ რა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია პარტიის გახრწნის შესახებ დიდ აღშფოთებას გამოვსთქვამთ და ერთხელ კიდევ მთელი მშრომელი ხალხის გასაგონათ ვაცხადებთ: ჩვენ დავტოვეთ მენშევიკური პარტიის რიგები მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ მენშევიკური პარტია გადავიდა პროლეტარიატის თვალსაზრისიდან და მიეყიდა საერთაშორისო კაპიტალს რაც მენშევიკური კაპიტალს, რაც მენშევიკური პარტიის ბელადები შეუერთდენ ყაჩაღებს, საქართველოს მშრომელი ხალხის სისხლის მსმელ ეროვნულ დემოკრატებს, თ.-აზნაურობას და სხვა ჯურის შავ რაზმელებს. რომლებთან სოლიდარობა გამოიხატა მათ მიერ დაარსებულ პარიტეტულ კომიტეტში ⁄ მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებული განაგრძობდენ ხელის შემშლელ მუშაობას საქართ. მუშ. და გლეხთა წინააღმდეგ.

მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა იმ მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც დავტოვეთ მენშევიკური პარტია და ხელი ავიღეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, გვიწოდეს გამცემლები, საქართველოს ერის მოღალატეები.

ჩვენ ისინი გვნათლავენ მოღალატეებათ მისთვის, რომ თავი დავაღწიეთ იმ საშინელ ნაციონალისტურად და შოვინისტურად გაჟღენთილ ატმოსფერას, რომელიც გაამეფა სამი წლის ბატონობის დროს მენშევიკურმა პარტიამ. დავწყვიტეთ რა ის ვიწრო რკალი, რომელიც გასჭედა მენშევიკურმა პარტიამ, მასთან ერთად ჩვენ ხელი გაუწოდეთ რუსეთის ძლიერ პროლეტარიატს და მათის მეოხებით შევსძელით გაგვეფანტა ის მოწამლული ატმოსფერა, რომელიც ხელს უშლიდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მთლიანობას. დღეს მათთან ძმურ კავშირში შესულნი ფიცსა ვსდებთ, როგორც ერთი მეორესთან, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებლად.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა პატიოსან რევოლიუციონერ მუშებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამორკვეულან და ყოყმანობენ, თვალი გადაავლონ მენშევიკურ პარტიის მოქმედებას, ნათლად დაინახონ მუშათა გამცემლური პოლიტიკა, რომელსაც ისინი აწარმოებენ დღესაც, ზურგი შეაქციონ ამ მოღალატეებს, ერთხელ და სამუდამოდ დადგენ პროლეტარული რევოლიუციის მხარეზე და შეუერთდნენ იმ ერთად ერთ მუშათა ავანგარდს, რომელსაც წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

ჩვენ დროულად მიგვაჩნია დავსვათ საკითხი მენშევიკური პარტიის შემდეგი არსებობის შესახებ, იმ პარტიის, რომლის „ცენტრი“ კიდევ განაგრძობს ლაპარაკს საქართველოს მშრომელი მასის სახელით ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროთ ვსცნობთ მოწვეული იქმნას იმ ამხანაგების კონფერენცია, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მოღალატე მენშევიკურ პარტიას. ამ კონფერენციაზედ დღის სინათლეზედ უნდა იქნეს გამოტანილი ყველა ის მოქმედებანი, რომლებითაც თავი ისახელა მენშევიკურმა პარტიამ სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ. კონფერენციის მოსაწვევად საჭიროა არჩეული იქნას ჩვენგან საინიციატივო ჯგუფი.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა დიქტატურას და მის გამოხატულებას—საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომინტერნს.

მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

6 პირველი ინტერნაციონალის ეროვნული პოლიტიკა*)

ამ უკანასკნელ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ პირველი ინტერნაციონალის შეხედულებას ეროვნულ პოლიტიკის შესახებ. თუ ჩვენ გვინდა მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა სავსებით დახასიათებული იქმნეს. ჩვენ ამ ორგანიზაციასაც უნდა მივაქციოთ არსებითი ყურადღება, რადგან მისი სული და გული ხომ მარქსი იყო. როგორ პოლიტიკას ამუშავებდა მარქსი ამ უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციაში ეროვნულ საკითხის მიმართ.“ აი კითხვა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად.

პირველი ინტერნაციონალი (1864—72 წ.) უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მოძრაობისათვის. მან ჩაუყარა საფუძვლები პროლეტარიატის გაერთიანების საქმეს და ამგვარად დააგვირგვინა ის დიდი მისია, რომელსაც განცალკევებული, სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტური ორგანიზაციები ეწეოდენ. ამ ინტერნაციონალს მემკვიდრეობით გადმოეცა ის დიადი რევოლიუციონური ლოგუნგები და მიზნები, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციის დასაწყისიდან ამოძრავებდენ საუკეთესო სოციალისტებსა და რევოლიუციონერებს. მაგრამ ეს ლოზუნგები გარდამუშავებული სისტემაში მოყვანილი იქმნა პირველი ინტერნაციონალის მიერ.

მე-XIX საუკუნის რევოლიუციონური მოძრაობა თავისი მეთოდებითა და მიზნებით ინტერნაციონალური ხასიათისა იყო, მაგრამ არ არსებობდა რეალური ორგანიზაცია, ამ მოძრაობის ხელმძღვანელი და მისი მომწესრიგებელი. თვით რეალურმა ცხოვრებამ, მისმა საჭიროებამ მოამწიფა აზრი და ნიადაგი ასეთი ორგანიზაციის შესაქმნელად.

მაგრამ, როგორც სტეკლოვიც მოგვითხრობს პირველი ინტერნაციონალის შექმნის უშუალო მიზეზად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო საგარეო პოლიტიკის საკითხი,—პოლონეთის აჯანყება. რომელსაც ტრადიციის მიხედვით, მეტად თანაუგრძნობდა მთელი ევროპის დემოკრატია, განსაკუთრებით კი მუშები.

1862 წ. მსოფლიო გამოფენაზე ერთმანეთს შეხვდენ საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა წარმოადგენლები. აქ დაიბადა აზრი, რომ საჭიროა საერთაშორისო კავშირის დაწესება პროლეტარებს შორის. 1863 წ. **საფრანგეთის დელეგატები ხელმეორედ ჩამოვიდოდენ ლონდონში ფრანგ ამხანაგების პასუხით ინგლისის მუშების ადრესზე რუსეთის ცარიზმის მიერ პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახრჩობის შესახებ.** ამავე საღამოს დელეგაციები დაესწრენ პოლონეთის საპატივცემო მიტინგს. ამ წრეებში უკვე გაისმა ხმა და მომწიფდა აზრი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის დაარსების შესახებ. 1864 წ. საფრანგეთის დელეგატები ხელახლა ჩამოვიდენ ლონდონში **პოლონელთა** ახალ მიტინგზე დასასწრებლად. ამის შესახებ, როგორც მარქსი სწერს თავის კერძო წერილში, წინდაწინ ჰქონდა გაგზავნილი პარიზელებს ლონდონის მუშებისაგან მისამართი პოლონეთის შესახებ და მოუწოდებდენ მათ საერთო მოქმედებისათვის.

ფრანგებმა თან ჩამოიტანეს კონკრეტიული პროექტი კომისიის დაარსებისა. 28 სექტემბერს ინგლისელებმა მოაწყვეს დიდი საერთაშორისო მიტინგი სენტ-ბრიტინს-ხოლლემი პოლონეთის შესახებ. ამ მიტინგზე ჰკიცხავდენ ბურჟუაზიის ავაზაკურ პოლიტიკას და ლაპარაკობდენ მუშათა მასების გაერთიანებაზე. ბოლოს ერთხმად მიღებული იქმნა რეზოლიუცია მუშათა საერთაშორისო კავშირის დაარსების სასარგებლოდ ცენტრათ ლონდონში და არჩეული იქმნა კომიტეტი 21 კაცისაგან შემდგარი წესდების შესამუშავებლად.*)

ამ მიმოხილვიდან მკითხველი დაინახავს, რომ ინტერნაციონალის წარმოშობის საბაბად შეიქმნა ეროვნული მომენტი პოლონეთის განთავისუფლების საკითხი, თუმცა მას ამაზე უფრო ფართო და დიდი იდეალები ჰქონდა დასახული მიზნათ: **განთავისუფლება მთელი კაცობრიობისა ყოველგვარ მონობისაგან.** როგორც მესინგი აღნიშნავს, პოლონეთის საკითხი დიდი ხნიდან აღელვებდა დასავლეთ-ევროპის კულტურულ ერების რევოლიუციონურ ელემენტებს; პოლონეთის გამოყოფისა და დამონების წყალობით სამი სახელმწიფო შეიქმნა მნიშვნელოვან რეაქციონურ ძალად: აღდგენა პოლონეთისა ნიშნავდა მახვილის ჩაცემას რუსეთის ჰეგემონიისათვის ევროპაში. ჯერ კიდევ „დემოკრატიული ძმობა“ რეგულიარულად აწყობდა 1830 წ. პოლონეთის რევოლიუციის დღეს, აღფრთოვანებით ესალმებოდა პოლონეთის ხალხს, მაგრამ განსაკუთრეტიული და თავისუფალი პოლონეთისა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის. (იხ. მერინგის წიგნი—გვ. 259). ეს ისტორიულად შემუშავებულ შეხედულება პოლონეთის საკითხის შესახებ ძველი რევოლიუციონერებისაგან ტრადიციით გადაეცა პირველ ინტერნაციონალს და მან ამ კითხვას თავისი შესაფერისი პასუხი გასცა.

მაგრამ პირველად შევეხოთ ინტერნაციონალის საერთო-საგარეო პოლიტიკას. 1864 წ. არჩეულმა კომიტეტმა შეიმუშავა „დაფუძნებითი ადრესი“, რომელშიაც გამოთქმული და ჩამოყალიბებული არის ძირითადი მომენტები ამ ორგანიზაციისა. პირველად ეს „ადრესი“ შემუშავებულ იქმნა იტალიის სტატუტების მიხედვით კომისიის მიერ, რომელშიაც კ. მარქს მონაწილეობა არ მიუღია. შემდეგ მარქსმა ძირიანად შესცვალა „ადრესის“ დებულებები და თავისი პრინციპების მიხედვით ააგო, ეს მანიფესტი დაამტკიცა მცირედის ცვლილებით, როგორც კომისიამ ისე ინტერნაციონალის კონგრესმა.

რას შეიცავს ამ „დამფუძნებელი ადრესის ძირითადი მომენტები? პირველი და უმთავრესი დებულება ის არის, რომ **„რომ მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა იყოს თვით მუშათა საქმე“** მაგრამ მუშათა კლასის განთავისუფლება შეუძლებელი არის სანამ პოლიტიკურ ძალა-უფლება ხელთ უპყრია ბურჟუაზიას; ამიტომ „მუშათა კლასის მოვალეობა მდგომარეობს პოლიტიკურ ძალაუფლების დაპყრობაში“, ამ ძირითად ამოცანასთან ერთად მარქსი ურჩევდა მუშათა კლასს ხელი მოეკიდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხისათვის და მასთანვე მოხაზა ძირითადი პრინციპები ამ პოლიტიკისა. სტეკლოვი ამის შესახებ სწერს: „რაობა მისი გამოთქმულია საერთაშორისო მუშათა ასოციაციის წესდებაში, რომელშიაც, სხვათა შორის, ჩამოყალიბებულია ახალი მორალი პროლეტარიატისა შემდეგ მნიშვნელოვანს სიტყვებში: **„ეს მუშათა საერთაშორისო ასოციაცია, ისევე, როგორც ყველა ის საზოგადოებანი, ან პირები, რომელნიც ემხრობიან მათ, თავის მოქმედებებს ყველა ადამიანისადმი განურჩევლად რასისა, რელიგიისა და ეროვნებისა საფუძლად დაუდებენ ჭეშმარიტებას, სამართლიანობასა და ზნეობას“** (იხ. Ю. Стеклов: „международная политика рабочего класса“ გვ. 16, 1917).

ეს ძირითადი პრინციპები დაუდვა სარჩულად პირველ ინტერნაციონალმა თავის საგარეო პოლიტიკას.

მარქსი თავის მანიფესტში ურჩევს მუშათა კლას არსებითი ყურადღება მიაქციოს ბურჟუაზიის პოლიტიკას და შეისწავლოს მისი საიდუმლოებანი, რათა შესძლოს წინააღმდეგობის გაწევა მისთვის. მანიფესტში ვკითხულობთ:

„თუ რომ მუშათა კლასის განთავისუფლების წარმატება დამოკიდებულია მათი ძმური ერთსულოვნობისა და ურთიერთ დახმარებაზე, როგორ შეუძლიათ მათ შეასრულონ მათი დიდი დანიშნულება, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ ბოროტ მოსაზრებით და სარგებლობს ნაციონალურ ცრუმორწმუნეობით, თავის ავაზაკურ ამბებში ღვრის მუშათა სისხლს და ჰფლანგავს მათ ფულს?! ინგლისის მმართველ კლასის არა გონიერებამ, არამედ მუშათა კლასის ოპოზიციამ წარჩინებული კლასთა ბოროტულ სიგიჟის წინააღმდეგ იხსნა ახლო წარსულში დასავლეთ ევროპა ახალი ჯვაროსნული ომის სირცხვილისაგან, **მონობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ოკეანეს იქითა მხარეში.**

„უნამუსო მოწონება, პირფერული სიმპატია ⁄ იდიოტური გულგრილობა, რომლითაც ევროპის მაღალი კლასები უყურებდენ იმას, თუ როგორ (ერთმა ქვეყანამ=რუსეთმა) დაიპყრო კავკასიის მთები და ახრჩობდა გმირულ პოლონეთს: უზარმაზარი დაპყრობანი ამ ბარბაროსულ ვეშაპისა, რომლის თავი.... (ერთ სატახტო ქალაქშია) და ხელები კი ევროპის ყველა კაბინეტებში ნახულობს ადგილს, დაანახეს, დაბოლოს მუშებს, რომ დროა იმათი ჩაკვირვებისა საერთაშორისო პოლიტიკაშიც, რომ დროა ყურადღება მიაქციონ მათი მთავრობების დიპლომატიურ პოლიტიკას, **წინაალუდგენ მათ საჭიროების დროს ყოველგვარი საშვალებით,** რომელიც კი მოეპოებათ, და, დაბოლოს, თუ რომ ასეთი დამოუკიდებელი მოქმედება დამარცხდება შეერთება საერთო პროტესტის ქვეშ მთავრობების ბოროტ ზრახვათა წინააღმდეგ, აღიარება ზნეობისა და სამართლიანობის ბუნებრივ კანონის დაცვის აუცილებლობისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყველა ადამიანი თავის ინდივიდუალურ ურთიერთობის დროს და რომელნიც უნდა შეადგენდეს უმაღლეს ნორმას ნაციათა ურთიერთობაშიაც“. (იხ. ზინოვიევის წიგნი—77).

მანიფესტი თავდება სიტყვებით: „ბრძოლა ასეთი საგარეო პოლიტიკისათვის შეადგენს ნაწილს საერთო ბრძოლისა მშრომელთა კლასების განთავისუფლებისათვის. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

ამ გვარად ერთა მასის ნორმალური ურთიერთობის დამყარება, ერების თავისუფალი თანამშრომლობა და მშვიდობიანობის მოპოება შეადგენს მანიფესტის დებულებით ერთ ნაწილს საერთო განმათავისუფლებელი ბრძოლისას. თავისი არსებობი თ

---

*) იხ. „ტრიბუნა“ № 485, 487, 489, 401, 452, 495, 495, 497, 500, 505, 507, 508.

*) დაწვრილებით იხ. სტეკლოვის: „ისტორია მუშათა მოძრაობისა“ 177—8, 1923 წ.—აგრეთვე მისივე „Интернационал“ პირ. ნაწილი 1920 წ.

პროვინციაში

სასჯელი დამნაშავეთ. ქ. ქუთაისის და მისს ახლო-მახლო მიდამოების მცხოვრებ მეაბრეშუმე გლეხთა დღევანდელი ცხოვრების ჩარხის აღმა ტრიალი აუწერელია კალმით, რაც უნდა მიეწეროს იმ პირთა აბდა-უბდა და უნიადაგო მოქმედებას, რომელთაც მუშურ-გლეხური მთავრობამ მიანდო მოწესრიგება გლეხთაგან პარკის შესყიდვის საქმისა.

ხელოვნურად შექმნილ მრავალ გვარი დაბრკოლებათა მიხედვით მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ამ საქმეში სათავეში მყოფი და ასე თუ ისე პასუხის მგებელნი თანამშრომელნი აბრკოლებენ მთავრობის საღ და სწორ მოქმედების ხაზს მეაბრეშუმე გლეხთა მიმართ და ამნაირად აძლევენ რა მას მრუდე მიმართულებას,—გლეხთა გულში სთესავენ სიძულვილს და უნდობლობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რაც ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღიკვეცოს.

აი ფაქტებიც: 1) ქუთაისში მთავრობამ ძმ. გოკიელოვებს ჩამოართვა სახალხო სასარგებლოთ აბრეშუმის პარკის გამოსახარშავ-გასახმობი ფარდული და იქვე ეზო, დაახლოვებით ორ ქცევამდე. პარკის შესყიდვის სეზონში ქუთაისის მაზრის სხვა და სხვა კუთხიდან (15—20 ვერსის მანძილიდან) ჩამოსული მრავალი გლეხობა. რომელთაც პარკი უნდა მიაწოდონ მთავრობას, აღნიშნულ ეზოში თავისი ცოლშვილით ხარ-კამეჩითა და ჯორ სახედრებით—მოისვენებდა და საჭიროების დროს ღამესაც გაითევდა იქვე ეზოში და ამნაირად დამშვიდებული გაუდგებოდა გზას.

მაგრამ წინააღმდეგ ამ ეზოს დანიშნულებისა სამწუხაროთ ამ წელში აღნიშნულ ფარდულის ეზოში სიმინდი დათესეს, ვფიქრობ, მთავრობის ნებადაურთველად და სანქციის მიუღებლად, რის გამო ერთ კვირაზე მეტია, რაც მშრომელი გლეხობა პაპანაქება სიცხეში ორპირის მტვერიან ქუჩაზე გმინავს.

სოფლებიდან ჩამოსული ორას-სამასი უღელი ხარ-კამეჩიან ურმით—ასობით გლეხობა ქუჩაზე ყრია და ამათი ყვირილი, ტირილი, გოდება და ჰოხვრა გულის სილრმეში წვდება ყველას.

მთელი კვირის განმავლობაში ეს თვალ უწვდენელი ზღვა ხალხი დღე და ღამე ქუჩაზე მოფენილია რიგის მოლოდინში და ყოველ მათგანის სახეზე წაიკითხავთ უკმაყოფილებას, საყვედურს.

2) მაშინ, როდესაც ადვილად შეიძლებოდა სამი-ოთხი სასწორის დადგმა, რომ ხალხი რიგის მოლოდინში სამი-ოთხი დღე არ დარჩენილიყო ქუჩაზე, ფარდულში მხოლოდ ერთი საწონი დგია, რაც ართულებს პარკის გადაწონა-მიღებას.

3) ფარდულის ეზოში არის სახალხო-სახელმწიფო ჭა, რომლიდანაც ამ ზღვა ხალხს წყალს არ აძლევენ—ხალხის მედგარ მოთხოვნაზე—ზედამხედველებმა დატუსაღებით დაემუქრენ მათ.

4) რაც შეეხება მუშა ხელის მიღება—დათხოვნას ამ დარგში (ფარდულში), მთელი ანარქიაა გამეფებული. ფორმალურად გზავნის შრომის ბირჟა, მაგრამ მოხერხებულათ ქვევიდანაც ბევრს აპარებენ ნათლია-ბიძაშვილობის მიხედვით.

უღატაკეს-ულარიბეს და ობოლთა ოჯახებიდან (მეზობლებიდან) არ ღებულობენ ფარდულში სამსახურში; ხან მიზეზათ ეუბნებიან, რომ ადგილი არა აქვთ, თითქოს მოწაფეებს არ ღებულობენ, ხან კავშირზე მიუთითებენ, ხან მიზეზად ისიც მოყავთ, რომ ერთი ოჯახიდან ორი-სამი წევრის მიღება არ შეიძლება და სხვა. ამავე დროს ერთი კეთილი ოჯახიდან მიღებულია სამსახურში ოთხი-ხუთი წევრი; ერთ „კულაკ“-ი მურღულიას ოჯახიდან მსახურებენ ოთხი წევრი.

ასეთები მრავალია მიღებული თვინიერ შრომის ბირჟის შეუკითხავათ.

5) უმეტესი ბოროტებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ მთავრობის ფულით დაქირავებული ხსენებულ მურღულიას ვაჟი, რომელიც ფარდულში ირიცხება სამსახურში, სიმინდის ჯეჯილს მწყესავს, რომ სოფლიდან მოზღვავებული პარკის მომტანი გლეხობამ არ გადაიაროს შიგ, ყანაში.

ამ რიგად, თუ ამ ფარდულში არსებულს უთავბოლო მოქმედებას არ მოეღო ბოლო, დიდს გაუგებრობას და შურს დაბადებს გლეხობის თვალში, მით უმეტეს რომ ამ ფარდულში, როგორც სჩანს, ძლიერ ცოტაა მუშა-მოსამსახურეთა შორის საქმისადმი გულშემატკივარი პირი.

საქმის მოსაგვარებლათ და შემდეგშიაც თვალყურის სადევნებლათ საჭიროა დაუყონებლივ დაინიშნოს ამ ფარდულში პასუხის მგებელი პირი პოლიტიკურათ კეთილ საიმედო.

„Civis“.

ქ. ქუთაისი, 30 ივნისი.

საუბარი გლეხთან

დასკვნა.

მთელ რიგ ფაქტებიდან, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ ჩვენს წერილებში, მკითხველს ადვილად

ინტერნაციონალმა ფაქტიურად შესძლო საგარეო პოლიტიკაში ჩარევა და საერთაშორის ურთიერთობისათვის ახალი სისტემის წამოყენება. სტეკლოვი სწერს: „თვით ფაქტი საერთაშორისო საზოგადოების დაარსებისა ბუნებრივად აყენებდა პირველ რიგზე საკითხს ცალკე ნაციებს მასის ურთიერთობის შესახებ და იძლეოდა გამზადებულ გადაჭრას ამ კითხვისას -- მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობის აზრის აღიარებით, აუცილებლობის ძმური და მშვიდობიანი თანაცხოვრების და თანამშრომლობის ყველა ხალხების განურჩევლად ფერისა, რასისა და რელიგიის“. მანიფესტი აღიარებდა რა, რომ „მუშათა გინთავისუფლება არის არა უბრალო ადგილობრივი ან ნაციონალურ ამოცანა, არამედ წინააღმდეგ ეხება ყველა განათლებულ ერების ინტერესებს და შესაძლებელია მიღწეული იქმნეს მხოლოდ მათი (ერების) თეორიული და პრაქტიკული დახმარებით ერთმანეთისათვის“, ინტერნაციონალი არ კმაყოფილდებოდა კლასიური ბრძოლით ნაციონალურ ფარგლებში, და ციდილობდა მოეხდინა გადამჭრელი გავლენა საგარეო პოლიტიკაზე საერთაშორისო ძმობისა და სოლიდარობის მიხედვით“. (იხ. სტეკლოვის: „საერთაშორისო პოლიტიკა“. გვ. 21).

ასეთია ის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოთქმულია პირველი ინტერნაციონალის „დამფუძნებელ ადრესში“. ეს ადრესი შეადგინა მარქსმა, შეასწორა ინტერნაციონალის საბჭოს ქვე-კომისიამ და შემდეგ დაამტკიცა ინტერნაციონალის კონგრესმა. ამ ადრესში სავსებით დაცული არის ეროვნული პრინციპი და ერთა შორის სოლიდარული ურთიერთობა.

კითხვა იბადება: რა არის აქ მარქსისა და რა შეიტანა ინტერნაციონალის კომისიამ? ამის გამოსარკვევად არსებობს მეტად საგულისხმო ისტორიული დოკუმენტი: თვით მარქსის წერილი ენგელსისადმი 1864 წ. 4 ნოემბრის თარიღით. ამ წერილში მარქსი სწერს ენგელს განსაკუთრებით ინტერნაციონალის „ადრესის“ შედგენის შესახებ. აქედან ირკვევა, რომ პირველად საბჭოს ქვეკომისიაში მიღებული ყოფილა ერთის მხრივ, მაიორ ვოლფის მიერ წარდგენილი სტატუტი იტალიის მუშათა კავშირისა. მარქსი სწერს: ეს (სტატუტი) იყო შეფერილი.

მაძინის მიერ და ამიტომ შენ წინ და წინ შეგიძლია მიხვდე, როგორი სახისა და როგორი გამოთქმით გამოხატული იქნებოდა მასში ნამდვილი საკითხი—მუშათა საკითხი; ხოლო ამის ნაცვლად, როგორი იქნებოდა შეტანილი ნაციონალური საკითხი“ („Письма“ გვ. 199) აგრედვე ქვეკომისიამ მიიღო ოუენისტის ბესტონის მიერ წარმოდგენილი

შეუძლიან დაასკვნას ყველა ის სარგებლობა, რომელიც წარმოსდგება მრეწველობის შემოღებიდან სოფლად, ოღონდ არა კაპიტალისტური ქარხნის

პროგრამა. მარქს არც ერთი ეს არ მოსწონს. მაგრამ გენერალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო ის. მარქსი სწერს: „საერთოდ მიღებული იქმნა იტალიის რეგლამენტი, რომელსაც სხვა შეცდომებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ჰქონდა მიზნად რაღაც მართლაც შეუძლებელი, სახელდობ რაღაც მზგავსი ევროპის მუშათა კლასების ცენტრალური მთავრობისა“ (იქვე) მარქსის მთელი ყურადღება და ენერგია მიქცეული იყო იქეთკენ, რომ ძირიანად გარდაექმნა ეს მანიფესტი, რომელიც შიშს გვრიდა მას. ამ ზიზანს მიაღწია მან და დასწერა ახალი მოწოდება მუშათა კლასისადმი, რომელიც ქვე კომისიების მიერ მიღებული დებულებები ძირიანად არის შეცვლილი მარქსი სწერს: „Поскольку в обращении реч идет о политике, я говорю о странах, а не о национальностьях и разоблачаю Россию, но не мелкие государства“ (იქვე გვ. 200). შემდეგ მარქსი აღნიშნავს, რომ „ქვეკომისიამ მიიღო ყველა ჩემი დებულებები მე მხოლოდ დამავალეს წესდების შესავალში შემეტანა ორი ფრაზა, რომელიც ამბობს „მოვალეობისა“ და „უფლების“ შესახებ და აგრეთვე „ჭეშმარიტებასა, ზნეობასა და სამართლიანობაზე“. მაგრამ ისინი მოთავსებულია იმ გვარად, რომ არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლიათ, გენერალურ კომიტეტის სხდომაზე ჩემი მიმართვა მიღებული იქმნა დიდის ენტუზიაზმით“ (იქვე).

ამ წერილიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ მარქსი 1) ებრძოდა მაძინისტების პოლიტიკას ნაციონალური საკითხის პირველ და უმთავრეს კითხვად წამოყენების შესახებ მანიფესტში, მაგრამ **არა საერთოდ ნაციონალური კითხვის დაყენებას.** როგორც დავინახეთ მაძინის ვიწროდ გაგებულ ნაციონალურ კითხვის წევით მარქსმა დააყენა მუშათა საკითხი და თვით ეროვნული კითხვა ინტერნაციონალური სოლიდარობის ფარგლებში ჩამოაყალიბა, 2) მეორეს მხრით მარქსი უარყოფს ოუენისტურ სოციალიზმს და პირველ რიგში აყენებს კლასთა ბრძოლის პრინციპს. მარქსისთვის მიუღებელია ბრძოლის დროს პრინციპებით—„ჭეშმარიტება ზნეობა, სიმართლე“—ხელმძღვანელობა, — „ინტერნაციონალიზმი“. „ჰუმანიზმი“ როგორც ამბობს მარქსი ერთ წერილში, თავის თავად იგულისხმება სოციალისტისათვის, ხოლო ბრძოლას დროს მან უნდა იხელმძღვანელოს გამარჯვების ინტერესითა და მოძრაობაში გაუშვას ისეთი საშუალებანი—ტირანიის გასანადგურებლად, რომელიც, შეიძლება, მორალური სტატუტებით არ იქმნენ გამართლებულნი.

ამ მიმოხილვიდან ნათელი ხდება, რომ მარქსმა გაილაშქრა წვრილ ბურჟუაზიულ სოციალობასა და მაძინისებური ნაციონალიზმის წინააღმდეგ ხოლო პირველ რიგში დააყენა კლასთა ბრძოლის

სახით, არამედ კოოპერატიულით. მრეწველობის დაბრუნება სოფლად, თავის პირვანდელს სამშობლოში და აქ მოკალათება, სოფლების **ქალაქ-ბაღებად** გადაქცევა შეადგენს დღეს უდიდეს მისწრაფებას საუკეთესო ნოაზრეთა-მოღვაწეთა, რადგანაც არ არის წარმოება, რომელშიაც არ შეიძლებოდეს მანქანის გამოყენება და მით შრომისა და თვით წარმოების გაადვილება. და, მართლაც, შეუძლებელია რომ იაფმა და ჰატარა მამოძრავებელმა ძალამ ადგილი არ დაიკავოს სოფლად და მით ხელი არ შეუწყოს იქ შინა-მრეწველობის აღორძინებას! ან რა დაუშლის სოფელს იქონიონ საერთო ქარხანა მამოძრავებელი ძალისა, საიდამაც ყველას ექნება უფლება გაიყვანოს იგი საკუთარ სახლში და აქ აკეთოს ის, რაც თითონა ჰსურს და სწადიან?!

მართალია, კაპიტალისტური ქარხანა სოფლად დღეს წარმოადგენს დაწყევლილს ბუდეს ადამიანის პირუტყულ მდგომარეობამდე და გაღატაკებამდე მიყვანისა, მაგრამ სულ სხვა იქნება კოოპერაციით (საერთო ძალით) მოწყობილი ესა თუ ის ქარხანა ამის მაგალითები უკვე არის აქა-იქ ზოგიერთ ქვეყნებში და სოფლებში: ხალხი რწმუნდება ერთობის სარგებლობაში და სცდილობს მოაწყოს იგი ყველგან და ყველაფერში, თუნდაც რომ ადგილობრივი პირობები ხელს არ უწყობდეს მას. მაგალითად, იტალიას და შვეიცარიას არა აქვთ საკუთარი რკინა და ქვა-ნახშირი, მაგრამ აბა ნახეთ, რამოდენა მანქანებს და იარაღებს აწვდიან ისენი ქვეყანას?!.

მრეწველობის ცენტრალიზაცია ხელს უშლის მის სოფლად გავრცელებასაო,—იტყვიან ხოლმე, როგორც პოლიტიკური ცენტრალიზაცია ხელს უშლის ადგილობრივი თვით-მმართველობის აღორძინებასაო. ეჰვი არ არის, რომ შეუძლებელია საოკეანო ხომალდები ააშენო სოფლად, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ კაპიტალისტები თუ ერთდებიან და დიდს ქარხნებს აარსებენ, ეს იმიტომ, რომ ბაზარი ხელში ეჭიროთ და იმ ფასებში გაყიდონ თავიანთ საქონელი, როგორც თითონ მოეპრიანებათ. მეორე ცუდი მხარე დიდი ქარხნებისა ის არის, რომ მანქანები დღეს თითქმის ყოველ დღე იცვლება და გადაკეთება კი მათი მეტად ძვირად ჯდება ან სრულიად შეუძლებელიც არის ხოლმე და ამით აიხსნება ასეთი ხშირი გაკოტრება დიდი მრეწველებისა ინგლისში.

ყოველივე, რაც წინა წერილებში ვსთქვით, აშკარად ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მრეწველობასა და მიწად-მოქმედებაშიაც, როგორც სხვა ყოველ საქმეშიაც, პირველი ადგილი უჭირავს ადამიანის გონებრივ განვითარებას, მისი ჭკვის სიმახვილეს, პოლიტიკურ თავისუფლებას და იმ ტეხნიკურ მდგომარეობას, რომელშიაც ესა თუ ის ქვეყანა იმყოფება, რადგანაც მანქანები ერთნაირად საჭიროა როგორც მიწად-მოქმედებისთვის, ისე მრეწველობისთვის. სალეწი მანქანა, მაგალითად, შეუძლებელია გაავრცელო ისეთ ადგილებში, სადაც არ მოიპოვება ისეთი სატეხნიკო სახელოსნო, რომ

პრინციპი და მას დაუმორჩილა ეროვნული საკითხიც.

მაგრამ ინტერნაციონალის ჩამოყალიბების პირველ ხანებში მარქს, თუ ნაციონალიზმის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, ინტერნაციონალის ჩამოყალიბების შემდეგ მას ბრძოლა მოუხდა ისევ წვრილი ბურჟუაზიულ სოციალიზმის იდეოლოგებთან, მაგრამ ახლა უკვე კოსმოპოლიტურ ჟურჟში გამოხვეულებთან. ესენი იყვნენ **პრუდონისტები,** რომელნიც **უარყოფდენ** საერთოდ ეროვნებას და ცრუმორწმუნეობად მიაჩნდათ იგი.

მე უკვე შემთხვევა მქონდა წინა წერილებში მომეყვანა მარქსის წერილი ენგელსისადმი, რომელშიც იგი აკრიტიკებს პრუდონისტებს ერების „გაუქმების“ საწითხში*). მარქსი ინტერნაციონალს გენერალურ საბჭოში ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა პრუდონისტების წინააღადეგ ამ საკითხში. მაგრამ ეს ბრძოლა გამოიხატებოდა, როგორც ერების „გაუქმების თეორიაში“ წინააღმდეგ დებატებში, ისე ნაციონალურ საკითხის დაყენების საქმეში ინტერნაციონალის კონგრესებზე.

პრუდონისტები ინტერნაციონალში „სოციალური რევოლიუციის სახელით“ უარყოფდენ ნაციონალურ საკითხს და მისი დაყენება არ მიაჩდათ სასარგებლოდ. ისინი ამბობდენ: რა საჭიროა პოლიტიკური კითხვების შერევა სოციალურ კითხვებთან. ამაში სჩანდა პრუდონის დიდი გავლენა. პრუდონმა რამოდენიმეჯერ გამოსთქვა წინააღმდეგი აზრი პოლონეთის აღდგენის შესახებ, უკანასკნელად პოლონეთის აჯანყების დროს 1863 წ. თავისი ანტიპატია კვლავ გაიმეორა ამ საკითხის შესახებ, ან, როგორც მარქსი ამბობდა, გამოამჟღავნა თავის კრეტინიზმი მეფის (რუსეთის) საპატივცემელოდ. წინააღმდეგ, მარქსა და ენგელს ამ აჯანყებამ გაუღვიძა, მათი ძველი სიმპატიები პოლონეთის საკითხის მიმართ. (მერინგი—274).

დიდი ხნის წინად, სანამ დოკუმენტები გამოქვეყნდებოდა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინტერნაციონალს გენერალურ საბჭოთა და კონგრესებზე: „არც ერთხელ“ არ გარჩეულა ეროვნული საკითხი საზოგადოთ და პოლონურის—კერძოდ. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულმა ცნობებმა ინტერნაციონალის ისტორიიდან ამის საწინააღმდეგო ფაქტები აღმოაჩინეს. ეროვნული საკითხი სხვა და სხვა სახით რამოდენიმეჯერ დასმულა ინტერნაციონალის საბჭოსა და კონგრესზე.

ლონდონისავე პირველ მოსამზადებელ კონგრესზე (1865 წ. 25—29 სექტემბერი), გენერალურმა საბჭომ მარქსისა და მარქსისტების მოთხოვნით

*) იხ. „Письма“ გვ. 202.

შეიძლებოდეს მანქანის რომელიმე გატეხილი ნაწილის გაკეთება თუ შეკეთება. ასეთსავე მდგომარეობაში იყო ტეხნიკური საქმე ოცი-ოცდაათ ოდენ ხუთ ოცეულ ბრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ შან დასძლია ყველაფერი და ტეხნიკურ გარეშეებაში ჩადგა: იქ, სადაც რა გინდა დაიწყე, ახლო-მახლო მუდამ იშოვნი საშუალებას დაიკმაყოფილო მოთხოვნილება. ჩვენც უნდა ვეცადოთ და რათაც უნდა დაგვიჯდეს შევქმნათ ყველგან ასეთი ტეხნიკური მდგომარეობა.

გარდა ამისა, მრეწველობა ბუნებრივადაც იწევს სოფლისკენ. მიწადმოქმედება იმდენად საჭიროებს ქალაქთა მუშების დახმარებას, რომ ესენი ზაფხულობით ათასობით მიეშურებიან თავიანთ ქალაქების ბუნაგებიდან სოფლად სხვა და სხვა სამეურნეო საქმეებში სამუშაოდ. ლონდონის ღარიბნი, მაგალითად, ყოველწლობით მთელი ჯარებით მიეშურებიან ხოლმე კენტისა და სესეკისაკენ აქაურ კორდების სათიბად ანუ სვიის საკრეფად. ასე რომ კენტში მარტო სვიის საკრეფად 80 ათასი მუშა იყრის თავს და ესენი თითქმის სულ ლონდონიდან ჩამოდიან. ასევე თითონ გლეხებიც საფრანგეთის ზოგიერთ მწირ ადგილებისა ზაფხულობით მიდიან უფრო კარგ მიწებიან და ჰავიან ადგილებში და იქ მუშაობენ ქირით. შეერთებულს შტატებშიაც მთელი ასი ათასობით მიდის ხალხი სამუშაოდ მანიტობისა და დაკოტის პრერიებში. ასევე პოლონეთიდან ზაფხულობით მთელი ათასობით მიდის ხალხი ყანების მოსამკალად გერმანიის სხვა და სხვა ადგილებში და თვით საფრანგეთშიაც კი. რუსეთში ხომ მთელი მილიონობით დაიძვრის ხოლმე ხალხი ჩრდილო ნაწილებიდან სამხრეთისკენ სამკელად, ხოლო პეტროგრადში ბევრი ქარხანა შესამჩნევად ამცირებს წარმოებას, რადგანაშ მუშები ინსტინკტიურად სოფლებისკენ მიეშურებიან სოფლელთა დასახმარებლად. ასეთია თვისება მიწად-მოქმედებისა: იგი ყველგან თხოულობს მუშათა მიშველებას მოსავლის დროს!..

კაპიტალისტებს, რასაკვირველია, ვერ დაარწმუნებ, რომ სწორედ ასე უნდა იყოს, რომ ზაფხულს მუშები, მართლაც, სოფლად უნდა მუშაობდნენ. მათ უნდათ, რომ მათი თანხა ერთი წამითაც არ ჩერდებოდეს და მუდამ სარგებელს აძლევდეს. მაგრამ ხალხი სხვანაირად სჯის: ზაფხულში ხალხი სოფლად უნდა მუშაობდესო და ასეც იქცევა, ყველა სოფლისკენ მიეშურება. ასევე უნდა მოიქცნენ მრეწველები: ამათაც სოფლად უნდა გადიტანონ თავიანთი სამრეწველოები, რომ იქ სავსებით ვისარგებლოთ იმით, რის მოცემაც მიწად-მოქმედებას შეუძლიან მრეწველობასთან შეერთებით! რას იზამ, ამას ითხოვს ცხოვრების ბუნება და ჩვენც უნდა დაკემორჩილოთ: „ქალაქ—ბაღები“ და „ქარხნები მინდვრად“—აი, ლოზუნგი დღეის ცხოვრებისა და ჩვენც უთუოდ უნდა შევასრულოთ იგი!..

დღის წესრიგში დააყენა პოლონეთის საკითხი. ამ კონგრესზე კომისიის მომხსენებლად გამოვიდა თვით მარქსი, რომელიც იცავდა ევროპის პოლ ტიკის საზომით „აუცილებლობას რუსეთის გავლენის გაძლიერების შეჩერებას ევროპაზე პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის გზით,—**ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლების ძალით**“. (მერინგი 274). ეს იყო ძირითადი საფუძვლები, რომელზედაც მარქსი ეყრდნობოდა თავის მოხსენებაში. პრუდონისტები ამის წინააღმდეგ წავიდენ იმ მოსაზრებით, რომ პოლიტიკურ კითხვებს არავითარი საერთო არ აქვთ სოციალიზმთან. ფრიშური, რომელიც მონაწილე იყო ამ კონგრესის გადმოგვცემს; რომ „ფრანგები და შვეიცარიელები გადაჭრით ილაშქრებენ პოლონეთის საკითხის კონგრესის წესრიგში შეტანის წინააღმდეგ. მათ ეჩვენებოდათ, რომ ამ აშკარა პოლიტიკურ კითხვას საღი ძოსაზრებით არ უნდა ჰქონოდა ადგილი წმინდა სოციალისტურ ყრილობაზე... მაგრამ უშედეგოთ; ერთად ერთი დათმობა, რომელიც მათ გაუკეთეს, ეს მდგომარეობდა სიტყვების „დემოკრატიული და სოციალური“ დამატებაში პირველ ფორმულიროვკას“ (ის. სტეკლოვი: „ინტერნაციონალი“ გვ. 55). ამ რიგად მიუხედავად პრიდონისტების დიდი წინააღმდეგობისა, კონგრესმა მაინც გაარჩია პოლონეთის საკითხი და **მიიღო** მარქსის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია; ეს რეზოლიუცია ამბობდა: „Крайне необходимо уничтожить возрастающее влияние России в европейских делах. дать Польше принадлежащее всякому народу право на самоопределение и вернуть этой стране социальный и демократический фундамент“. ამ რეზოლიუციაში აღსანიშნავია სწორედ ის, რომ თვითგამორკვევის პრინციპი აღიარებულია ძირითად საფუძვლად და მისი უფლება აქვს ყველა ერს.*)

*) ჩვენში მეტად ყალბი გაგებაა გავრცელებული ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ არა მარტო ამ პრინციპის მოწინააღმდეგეთა წრეებში, არამედ იქაც, ვისი პროგრამის ერთ-ერთ მუხლს შეადგენს იგი. ამხ. ლენინმა ამ პრინციპს ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული შინაარსი მისცა თავის წერილებში ნაციონალური საკითხის შესახებ. იგი სწერს: „**გამარჯვებულმა სოციალიზმმა** აუცილებლად უნდა განახორციელოს სრული დემოკრატია, და მაშასადამე, არა მარტო ერთა უფლების—კი გათანასწორება გაატაროს, არამედ **უნდა განახორციელოს ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებაც. ე.ი. უფლება თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფისა.** სოციალისტური პარტიები, რომელნიც არ დაამტკიცებენ მთელი თავიანთი მოქმედებით ეხლაც

ჩვენ ვსთქვით, რომ რათაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენც უნდა შევქმნათ ყველგან „ტეხნიკური მდგომარეობა“.

ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა შამაკაცისა და დედაკაცის გონებრივი განვითარება. ეს კი მხოლოდ ახალ სწავლა-აღზრდას შეუძლია და ამიტომ ჩვენც მთელი ჩვენი ძალებით ამ გზას და საშუალებას უნდა დავადგეთ.

კრაპოტკინის აზრს ამ ახალ სწავლა-აღზრდაზე ცალკე წერილს ვძღვნით.

ივ. როსტომაშვილი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„თამარ მეფის მეხოტბენი“ მოსე ჯანაშვილისა.

კარგა ხნის შემდეგ, გაზ. „ტრიბუნაში“ დამთავრდა მოსე ჯანაშვილის წერილები, სახელდობრ „თამარ მეფის მეხოტბენი“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წერილებს მე თვალს ვადევნებდი უფრო მიტომ, ვინაიდგან მოსე ჯანაშვილს ამის შესახებ წინეთაც უწერია ხოლმე და ამ გარემოების შესახებ, ზოგიერთ მცოდნე პირებთან კამათიც ჰქონია ხოლმე, როგორც მაგალითად პროფესორ მართან და სხვებთანაც.

მოსე ჯანაშვილის დღევანდელი წერილები უნდა მოგახსენოთ, რომ გაცილებით უფრო საყურადღებო ცნობებიც არის დაწერილი და იგი თითქმის პასუხი გახლავსთ და ისიც საფუძვლიანი პასუხი ყველა იმ პირების, ვისაც კი რამე დაუწერია „ვეფხის ტყაოსნის“ ან მის დაგვარ შოთა რუსთაველის შესახებ.

ამ წერილის ცნობები ნათლათ ანათებენ არამც თუ ერთ რამ ნაკლს ჩვენის მწერლობის და მის მკვლევარების, არამედ ეს წერილები ნათელს ჰფენენ თვით რუსთაველის მაშინდელს ოგავ სიტყვაობას და ბევრ რამ სიტყვებით ხმარების თავისებურის იგავ სიტყვაობის კილოთი.

აგრეთვე ესევე წერილები კარგათ აშუქებენ თვით ვახტანგ მეფისაგან დაწერილს „ვეფხის ტყაოსნის“ ახსნას და იმ წერილის შინაარსს, რაც ვახტანგ მეფემ დასწერა და დაბეჭდა თავთაგან გამოცემის „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლოში 1712 წელს. თფილისში.

ეს გარემოება უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, ვინაიდგან ჩვენ ძალიან მცირედ ვიცნობთ როგორც ვახტანგ მეფის შრომას, ისევე ახტონ კათალიკოზის და სხვათა იმ დროის მწერლების, რომელთაც კი ამის შესახებ რამე უწერიათ.

საყურადღებოა ეს ცნობები იმ ღირსებითაც, რომ მასალები, რაც კი ხმარებულია აქ, იგი ამოკრეფილია თვით „ვეფხის-ტყაოსნიდან“ რასაც თანა სდევს დამწერის სწორე შეხედულება ყველასფერის ახსნასა და გარემოებაზედ, უნდა ითქვას, რომ თვით ცნობების წვრილმანნიც კი უსწყინენ დამონების სწორე შეხედულებას, როგორც „ვეფხის ტყაოსანზედ“ ისევე მის დამწერ შოთა რუსთველის ცხოვრების ცნობასა და ვინაობაზედაც.

ეს პირველი მაგალითი ქართულს მწერლობაში, პირველი ნაბიჯი, რომ ამოდელა ცნობების მოყვანა და ახსნა, დაწერისაგან თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო ტრიალებს, ყველა ცნობის ახსნის და განმარტების ძიება დამყარებულია თვით შოთა რუსთველის სიტყვებსა და ცნობებზედ.

ეს არის პირველი ნაბიჯი და პირველი შუქი ჩვენის ისტორიის და ნამეტუ „ვეფხის ტყაოსნის“ და შოთა რუსთველის ცხოვრების, ამას ჩვენ მიტომ ვამბობთ ასე, ვინაიდგან მთელი წერილის შინაარსის მასალები სულ ამოკრეფილია თვით „ვეფხის-ტყაოსნიდან“ და აქ დიდის სინათლით არის გაშუქებული ყოველი უბრალო ცნობაც კი.

უნდა ითქვას, რომ ამ წერილით დიდი მნიშვნელობა ექნება ილია ჭავჭავაძისაგან დაწერილს წერილს „ვეფხის-ტყაოსანი“ და შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ. თვით აკაკი წერეთლისაგან დაწერილი წერილი, რომელიც მან დასწერა და მეც ცალკე წიგნად დავბეჭდე 1884 წ. რაც იყო აკაკისაგან ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ, თვით აკაკის წერილსაც აშუქებს ეს წერილი.

რაც შეეხება პროფესორი მარის ცნობებს, დავ. ჩუბინაშვილის, იუსტ. აბულაძის, სერგო კაკაბაძის და ბევრთაც კიდევ სხვების, რომელთაც კი უწერიათ რამე „ვეფხის-ტყაოსნის“ შოთა რუსთაველის შესახებ უნდა ითქვას, რომ ამათ ცნობებსაც ეძლევა დიდი სიმართლის გზა და ახსნა.

საუწყებელია ისიც, რომ დღეის შემდეგ, ქართველები „ვეფხის-ტყაოსნის“ ზღაპრის საძებნელად და თვით შოთა რუსთაველის ცხოვრების გასაცნობად ნურც არაბეთში მირბიან, ნურც ინდოეთში, ნურც სპარსეთში და იქ ნუ ეძებენ „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერის მიზეზებს და შოთა რუსთველის ცხოვრების ცნობებს.

ყოველივე აქ არის, აქ საქართველოში, აქ არსებობს ყველა ცნობები და აქ ჩვენ თვალწინ გახლავთ ყველაფერი დამარხული და დაცული თვით „ვეფხის-ტყაოსანში“, რასაც მხოლოდ დაფიქრება სჭირია, ახსნა და განმარტება. სხვა კი ყოველივე ამის გარეშე ჩვენი მსწავლულების ინდოეთში, არაბეთში და სხვაგან ფრენა გახლავსთ უბრალო და უმნიშვნელო.

საჭიროთ ვსთვლი, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვა თვით ამ წერილების დამწერის მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის შესახებაც. ეხლა ეს მოღვაწე არის 69 წლის მოხუცი კაცი და იგი კარგა ხანია მას შემდეგ გასული, რაც ეს დაუცხრომელი მოღვაწე შრომობს და მოღვაწეობს ქართული ისტორიის ასპარეზზედ.

ვგონებთ, რომ დღეს ყველა ერი ამბობს, რომ ამ ღირსეული კაცის შრომაც დაფასებული იქმნეს და მით ჩვენითაც გადახდილი იქნეს ერთი ერი ერეთ ერეობრივი ვალი და იგივე იქნეს დაფასება მისი, ანუ ჩვენც ვიცით ჩვენი უმწეობა მოღვაწეების შრომის დაფასება.

ზ. ჭ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

1905 წლიდან მე ვიყავი წევრი საქ. ს.-ფედ. სარ. პარტიისა. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, არ მიმუშავნია არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში, თანავუგრძნობდი კი მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიას.

დღეიდან სრულიად შეგნებით ვუერთდები მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რიგებს.

მასწ. **ერეთეოზ ცხადაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გერმანიაში კურს დამთავრებული გერმანელი ქალი ეძებს გაკვეთილს ოჯახში

ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲖᲔᲓ.

მისამართი: მიხეილის შესახვევი 10, ბინა 3.

№ 433. 2—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუსხა

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲡ

მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით	1600
მატ. № 1 სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ.	
მატ № 1 „ „ სამშაბათ.	
მატ. № 2 „ ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3 კახეთში „	7.15
მატ. № 4 ბათუმში „	8.05
მატ. № 8 ბათუმში „	20.40
მატ. № 20 ბორჯომში „	15.20
მატ. № 21 ბაქოში „	11.25
მატ. № 22 ბათუმში „	0.20
მატ № 3 ერევანში კენტი რიცხვში	18.00
მატ. № 35 კახეთში „ „	10.35
მატ. № 31 ჯულფაში წყვილ რიცხვში	23.00

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით	14.40
მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ.	
მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ.	15.30
მატ. № 2 პეტროგრადიდან პარასკეობ.	
მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4 როსტოვიდან „	6.35
მატ. № 4 კახეთიდან „	21.50
მატ. № 7 ბათუმიდან „	8.50
მატ. № 19 ბორჯომიდან „	8.00
მატ. № 21 ბათუმიდან „	4.20
მატ. № 22 ბაქოდან „	14.50
მატ. № 4 ერევნიდან წყვილ რიცხვში	10.20
მატ. № 3 კახეთიდან „ „	18.45
მატ. № 34 ჯულფიდან კენტ რიცხვში	18.15

ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ

მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16 ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით	1.55

მატ. № 17 ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15 ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . .	5.10

ამ რეზოლიუციის მიღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის საზოგადოებაზე. თვით მარქსი სწერდა შემდეგში: „ჩვენი პარიზელები, რამოდენიმედ გაკვირვებული არიან მით, რომ სწორედ პარაგრაფმა რუსეთისა და პოლონეთის შესახებს, რომლის მიღება მათ არ სურდათ, გამოიწვია ყველაზე დიდი სენსაცია“.

ამის შემდეგ გენერალურ საბჭოში საერთოდ ნაციონალური საკითხის გარშემო დიდი შეხლა-შემოხლა იმართება. მარქსი ენერგიულად განაგრძობს პრუდონისტების წინააღმდეგ ბრძოლას აღნიშნული ხაზით. მთელ რიგ სხდომებზე ის აკრიტიკებს პრუდონისტების წვრილ ბურჟუაზიულ შეგნებას ეროვნულ საკითხში.

ამ საკითხს იმ ხანებში ეხმაურება ინტერნაციონალის ორგანოც „ფორბოტი“, რომელსაც რედაქტორობდა ძველი მარქსისტი და მარქსის მეგობარი ი. ფ. ბეკერი. ჟურნალი გვიხსნის, რომ **სახელმწიფოთა კავშირი**, რომლისაკენაც მიილტვის ინტერნაციონალი, არის „კავშირი სწორ უფლების წევრთა, ფედერაცია ერთნაირად თავისუფალ საზოგადოებათა“. შემდეგ „ფორბოტე“ სწერდა:

„Ни одна нация не должна иметь итого перевеса, чем признанного занею при установлений союза за ея значение и прогресс, за ея интеллектуальные и материальные успехи.

Даже самой маленькой национальности должно быть обезпечено навсегда самостоятельное существование“ (იხ. **Каутский: „Средняя Европа“** გვ. 60, 1916 წ).

ამგვარად ინტერნაციონალის ორგანო იცავდა და აყენებდა პლატფორმას: „თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირის“, „ერთა ფედერაციას“. იგივე „ფორბიტე“ თავის მეორე ნომერში (თებერვალი 1866 წ.) წერილში: „ჩვენი მიზნის განმარტებისათვის“ სწერდა: „ერების კავშირი არის კავშირი თანასწორუფლებიან წევრების“ ამხანაგობა, მსგავსი თავისუფალ სახელმწიფოს“ (იქ. 56) ივლისში (1866 წ.) იგივე ორგანო აქვეყნებს მოწოდებას, „ყველა ქვეყნის მუშებისადმი“, რომელსაც ხელს აწერდენ სხვათა შორის ეკვარტუსი, იუნგი, ლესტერი და სხვა წევრები ინტერნაციონალის გენერალური საბჭოსი, სადაც ეწერა. „პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს... მაგრამ ის მოწოდებულია განახორციელოს კაცთა მოდგმის დამცველის ანახასის კლოტის მისწრაფება „და **ერთა დიდებული ფედერაცია**“ (გვ. 57).

ამ რიგად თვით ინტერნაციონალის საბჭოსა და მის ორგანოში, წინააღმდეგ პრიდონისტებისა, ეროვნულ საკითხის გარშემო მხურვალე კამათი იმართება და ერთა ურთიერთობისათვის შესაფერისი ორგანიზაცია მუშავდება.

ამავე ხანებში მზადება არის მეორე კონგრესის მოსაწვევად ჟენევაში. პრუდონისტები კვლავ წინააღმდეგნი არიან პოლონეთის საკითხის დასმისა კონგრესზე. მარქსი ამუშავებს კონგრესის დღის წესრიგს; იუნგისადმი მიწერილს წერილში იგი იძლევა გარკვეულ გეგმას კონგრესის მუშაობის შესახებ, მესამე მუხლად აქ მარქს დაყენებული აქვს საერთაშორისო პოლიტიკა, სადაც სწერს ლონდონის კონგრესზე მიღებულ რეზოლიუციის თანახმად: „აუცილებლობა მოსკოვის გავლენის მოსპობისა ევროპაში **ერთა თვით გამორკვევის უფლების განხორციელების საშუალებითა** და პოლონეთის დემოკრატიულ და სოციალისტურ საფუძვლებზე აღდგენით“ (იხ. იეკის „ინტერნაციონალი“ გვ. 37) ეს საკითხი ჟენევის კონგრესზე (1866—სექტემბერი) მეცხრე მუხლად დაისვა სწორედ იმ სახით, როგორც ეს მარქს ჰქონდა წარდგენილი. მასთანვე მარქსმა ვრცელი დასაბუთებული წერილობითი მოხსენება წარუდგინა კონგრესს. ევროპის მუშათა კლასმა არსებით ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, ამბობს მოხსენება, რადგან **გაბატონებული კლასები, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გაბატონებულნი არიან ეროვნებებით, სჩაგრავენ მათ;** არისტოკრატია და ბურჟუაზია ყოველთვის ხედავდა შავ აზიის მპყრობელში უკანასკნელ მფარველს მუშათა კლასის შემოტევის წინააღმდეგ. ამიტომ მუშათა კლასი დაინტერესებული არის ამ მპყრობელის დამხობაში უაღრესად, რაც მიღწეული იქმნება მხოლოდ თავისუფალ პოლონეთის აღდგენით. ამ საკითხის გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული გადაიქცევა გერმანეთი თუ არა ფორპოსტად საღვთო კავშირის. გერმანეთის პროლეტარიატი განსაკუთრებით მოვალეა აიღოს თავის თავზე ინიციატივა პოლონეთის განთავისუფლებისა, რადგან გერმანეთი იყო ერთ ერთი დამნაშავე მისი გაყოფისა და დაჩაგვრის. (მესინგის წიგნი—284; ან სტერლოვის—ინტერნაციონალი“ გვ. 79).

ასეთი წინადადებებისა წინააღმდეგი წავიდენ საფრანგეთის პრუდონისტები. ბოლოს მიღებული იქმნა კომპრომისული რეზოლიუცია, რომლშიც არსებითად დაცული არის ეროვნული მომენტი და პოლონეთის განთავისუფლების საკითხი.

პირველი ინტერნაციონალის ეროვნული პოლიტიკის დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ ნნიშვნელოვან რეზოლიუციას. 1867 წ. ერთსა და იმავე დროს კონგრესები ჰქონდათ გამართული ინტერნაციონალს—ლოზანაში და ბურჟუაზიულ „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგას ჟენევაში.

ინტერნაციონალის კონგრესი ეხება ომისა და მშვიდობიანობის საკითხს, არკვევს ომის გავლენას ეკონომიურ ცხოვრებაზე; და ადგენს, რომ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა „სავსებითა და მთლიანათ შეუერთდეს მშვიდობიანობის კონგრეს, ენერგიულად დაეჩქაროს და მიიღოს მონაწილეობა ყველა იმ ზომებში, რომელთაც ის მიმართავს, რომ განახორციელოს მუდმივი ჯარის გაუქმება და ზავის დაცვა, მუშათა კლასის სწრაფი განთავისუფლების მიზნით და მისი გადარჩენის კაპიტალის ბრძანებლობისაგან, აგრეთვე **მთელს ევროპაში თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირის შექმნის მიზნით“.** (სტეკლოვი—გვ. 100—01).

ინტერნაციონალი მალე დარწმუნდა, რომ „ლიგა“ ბურჟუაზიული დაწესებულება იყო და მას არ შეეძლო მშვიდობიანობის ნამდვილი პროგრამა წამოეყენებინა. შემდეგში გენერალურმა საბჭომ სწორი შეფასება მისცა ლიგის ბურჟუაზიული დემოკრატების პროგრამას. „ფორბოტე“-მ ერთ-ერთ ნომერში შემდეგი სახით გაუმართა პოლემიკა ბურჟუაზიული კონგრესის ლიდერებს:

„შეუძლებელია დასასრულის წამოყენება დასაწყისის ადგილას, შეუძლებელია იოანებო ერთა მასის მშვიდობიანობაზე. . სანამ ძალით არ არის გადეწილი უხეში ძალდატანება, სანამ არ არის უზრუნველყოფილი თავისუფლება ყველასათვის, სანამ არ არის განმტკიცებული ერთიანი რესპუბლიკა გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის და სხვა სახელმწიფოთა და არ არის შექმნილი ევროპის კავშირი თავისუფალ სახელმწიფოთა სრული სოლიდარობით პერმანენტულ კონგრესებთან“ (კაუცკის წიგნი—57).

ჩვენ აქ არ შევეხებით და არ გავიმეორებთ იმ ცნობებს პირველი ინტერნაციონალის პოლიტიკიდან, რომელიც შეეხება ირლანდიის საკითხს. ამ საკითხის გამორკვევის დროს მარქსი და ენგელსი დიდ ენერგიას ხარჯავდენ და ეხმარებოდენ ირლანდიის ხალხს განთავისუფლების საქმეში. ინტერნაციონალმა მთელი რიგი დამაკმაყოფილებელი დადგენილებისა გამოიტანა ირლანდიის ნაციონალური მოთხოვნილების სასარგებლოდ.

როგორც ვხედავთ პირველი ინტერნაციონალი წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, ასე თუ ისე ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს და იძლეოდა მისი გადაჭრისა და მოწესრიგების გეგმებს.

ამ პოლიტიკის შემუშავებაში კერძოდ მარქსი დიდ როლს თამაშობდა: დასაწყისში მან გადაარჩინა ინტერნაციონალი ნაციონალურ საკითხში უკიდურესობაში გადავარდნისაგან მაგონისტების წყალობით და ეროვნული მომენტი დაუმორჩილა კლასიურ მომენტს; მეორე პერიოდში, როდესაც არულონისტები შემოიჭრენ „ეროვნების გამაუქმებელი თეორიებითა“ და კოსმოპოლიტური გეგმებით, მარქსმა აქაც წინააღმდეგობა გაუწია ახალ მიმდინარეობას და ეროვნული საკითხი გარკვეულ პოლიტიკის ნიადაგზე დააყენა. მარქსის ამ პოლიტიკურ გამოსვლებიდან ნათლად სჩანს, თუ რამდენად სერიოზულ ყურადღებას აქცევდა იგი ეროვნულ საკითხს.

პირველმა ინტერნაციონალმა გარკვეული გეგმები მოგვცა ეროვნული საკითხის შესახებ და თავის მემკვიდრე თაობას გადმოსცა, რომ ერთა მასის სოლიდარობის განმტკიცება არის ერთ-ერთი პიროსა მსოფლიოს ყოველგვარი მონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

მარქს-ენგელსის ეროვნულ პოლიტიკასაც ეს ძირითადი მომენტები ედვა სარჩულად.*)

სან—დონი.

(დასასრული).

---

*) ამ წერილში ჩვენ გვინდოდა ცალკე შევეხებოდით „ეროვნულ საკითხს ლენინიზმის სკოლაში“. ლენინი მოღვაწეობს და გარკვეულ პროგრამას აღგენს ფინანსიურ კაპიტალისა და იმპერიალიზმის პერიოდში. სწორედ ამ მხრივაა საინტერესო ლენინის მიდგომა ეროვნულ საკითხისადმი. მაგრამ ეს ცალკე წერილისათვის გადავდვათ. **ს.—დ.**

ᲗᲑᲘᲡᲘ 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 429 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კოლეგიის ქუჩ. № 4